



ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს

საბაზისო კვლევის ანგარიში



კომპიუტერის ცოდნის
ბაზარკვლავი საზოგადოება



Gori Information
Centre

საბაზისო კვლევა მხარდაჭერილია პროექტის „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“ ფარგლებში, რომელსაც აფინანსებს ევროკავშირი და ახორციელებს სამოქალაქო განვითარების სააგენტო პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ევროკავშირის პოზიციებს.

სარჩევი

კვლევის წინაპირობა -----	2
კვლევის დიზაინი -----	2
შერჩევის დიზაინი -----	2
კვლევის ამოცანები -----	2
ძირითადი შედეგები -----	3
რაოდენობრივი კვლევის შედეგები -----	5

საკონტაქტო:

სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
ფიროსმანის ქ. 9/1, რუსთავი 3700
341 25 88 24
migrant_ge@hotmail.com
www.migrant.ge
www.facebook.com/migrant.ge
სკაიპ-სახელი: migrant_ge

კვლევის წინაპირობა

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს 5 მუნიციპალურ ცენტრსა და სოფლებში მიგრაციული სურათის მიმოხილვა და პროექტის საბაზისო მაჩვენებლების დადგენა. კვლევა 2013 წლის სექტემბერ-ოქტომბრის გაიმართა. კვლევა ჩატარდა G-PAM ბენეფიციარ 5 მუნიციპალურ ცენტრსა და 50 სოფელში და არაბენეფიციარ 50 სოფელში.

კვლევის დიზაინი

მიზნის მისაღწევად და კვლევის ამოცანების გადასაწყვეტად კვლევითი ჯგუფის მიერ არჩეული იქნა კვლევის რაოდენობრივი მეთოდი. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იქნა სტრუქტურირებული ანკეტა.

შერჩევის დიზაინი

შერჩევას გამოყენებული იქნა სოფლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები და „სიდას“ ბაზები სოფლის მოსახლეობის რაოდენობების შესახებ.

ბენეფიციარ 50-ვე სოფლებში, შემთხვევითი წესით გამოიკითხა 2600 რესპოდენტი¹ (საშუალოდ 50 რესპოდენტი თითოეულ სოფელში); ხოლო არაბენეფიციარ 50 სოფელში - 1496² რესპოდენტი (შერჩევა მოხდა რეგიონული პრინციპით - 150 თითოეულ რეგიონში).

ჩაერთო ყველა ტიპის სოფლის მოსახლეობა, როგორც მცირე, ასევე დიდი.

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 4096-მა რესპოდენტმა.

კვლევის ამოცანები

1. მიგრაციის მიმღები ქვეყნების იდენტიფიცირება
2. მიგრაციის მიზეზების დადგენა
3. მიგრაციასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება
4. არალეგალური მიგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის და ქცევის დადგენა
5. არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეების შესახებ ინფორმირებულობის დონისა და წყაროების დადგენა

¹ შერჩევის ცდომილება =1,37%

² შერჩევის ცდომილება =1,81%

$$e = \sqrt{\frac{z^2 pq(N-n)}{(N-1)n}}$$

ძირითადი შედეგები

რესპონდენტთა 14%-ს ჰყავს *ახლო ნათესავი ან ოჯახის* წევრი სამუშაოდ უცხოეთში წასული. მიმღებ ქვეყნებს შორის პირველ ადგილს რუსეთი იკავებს (47% - მათ შორის ვისაც ჰყავს ოჯახის წევრი ან ნათესავი მიგრანტი), ხოლო მეორე და მესამე ადგილზე თურქეთი (21%) და საბერძნეთი (18%).

უშუალოდ ოჯახის წევრები თურქეთში ან საბერძნეთში გამოკითხულთა მხოლოდ 11%-ს ჰყავს საიდანაც - 4,7%-ის ოჯახის წევრები საბერძნეთში, 6,8% - თურქეთში, ხოლო 0,4% - ორივეგან ცხოვრობენ.

75 %-ის პასუხების მიხედვით უახლოეს მომავალში გამოკითხულთა ოჯახის წევრი არ გეგმავს საბერძნეთში ან თურქეთში გამგზავრებას. გამოკითხულთა, მხოლოდ 3.4%-ის ოჯახის წევრი გეგმავს საბერძნეთში გამგზავრებას, ხოლო 9.4% - თურქეთში.

მათ შორის *ვინც გეგმავს* საბერძნეთში გამგზავრებას, 93,5% ქართველია, 2,2% ბერძენი. მათგან, მოქალაქეობა აბსოლუტურ უმრავლესობას (97.8%) საქართველოსი აქვს. საბერძნეთში პოტენციურად წამსვლელებს შორის - 14 % დევნილია. თურქეთში წამსვლელებს შორის - 99,2% საქართველოს მოქალაქეა, 98% ეროვნებით ქართველი. თურქეთში პოტენციურად წამსვლელებს შორის 12,4% დევნილია.

თურქეთსა და საბერძნეთში *წამსვლელების ძირითადი მიზანი*, რესპონდენტების 90%-ის აზრით, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. თუმცა, ამავდროულად, გამოკითხულთა მხოლოდ 16% ამბობს, რომ უცხოეთში წასული ოჯახის წევრი მატერიალურად ეხმარება საკუთარ ოჯახს.

თურქეთში წამსვლელების სამუშაო მეტად არის მოგვარებული წასვლამდე, ვიდრე საბერძნეთში წამსვლელებისა. კერძოდ რესპონდენტების მხოლოდ 11% თვლის, რომ საბერძნეთში გამგზავრების მსურველი მათი ოჯახის წევრები უკვე მოგვარებულ სამუშაო პირობებზე მიდის, ხოლო გამოკითხულთა უფრო მეტი რაოდენობა - 42% ამბობს, რომ თურქეთში წამსვლელი მისი ოჯახის წევრის სამუშაოს საკითხი გადაწყვეტილია.

სქესის მიხედვით მცირე განსხვავება დაფიქსირდა, ქალების უფო ნაკლები რაოდენობას აქვს დაგეგმილი უცხოეთში სამუშაოდ წასვლა, ვიდრე კაცების. სქესის მიხედვით ქვეყნების არჩევისას არსებობს განსხვავებები, კერძოდ: თურქეთში ქალების 25,9%-ს აქვს სურვილი წავიდეს სამუშაოდ ხოლო მამაკაცების მხოლოდ 1,9%. რუსეთსა და უკრაინაში მამაკაცები უფრო არიან მზად წასასვლელად სამუშაოდ, ვიდრე ქალები.

აღსანიშნავია, რომ იმ გამოკითხული მამაკაცების 20%, აღნიშნავს, რომ ოჯახის წევრი რომელიც წასულია სამუშაოდ სხვა ქვეყანაში მისი მეუღლეა. ქალების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი - 13,5%-ს არ აღემატება. ეს მონაცემი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოდ, რომ ეკონომიკური აქტივობის ასაკის მქონე ოჯახებიდან მეუღლეებს შორის ქალაქები უფრო ბევრია შრომითი მიგრანტი, ვიდრე მამაკაცი.

როგორც შედეგებმა აჩვენა, ქალებისა და მამაკაცების ქვეყნიდან გამგზავრების მოტივაცია, განსხვავდება ერთმანეთისგან. მამაკაცები მეტი წილი თვლის, რომ მიმღებ ქვეყანაში უფრო გაუადვილდება სამსახურის მოძებნა, ვიდრე აქ.

ყველაზე მეტი პრობლემა, გამგზავრებასთან დაკავშირებით, კერძოდ, - სამუშაო ვიზის აღებასთან დაკავშირებით დაფიქსირდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ეს პრობლემა ყველაზე მწვავედ საბერძნეთში წამსვლელებთან დგას.

მიგრანტთა უმრავლესობას, რომელიც მიდის სამუშაოდ სხვა ქვეყანაში, *არა აქვს დაგეგმილი თუ რა კონკრეტული სამუშაოს შესრულება მოუწევს* იქ. გამოკითხულთა სამი მეოთხედის პასუხების მიხედვით სხვადასხვა ქვეყანაში წამსვლელებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ რა პროფესიით იმუშავებენ.

მათ შორის, ვისი ოჯახის წევრიც აპირებს თურქეთში ან საბერძნეთში გამგზავრებას, მესამედ შემთხვევაში ჰყავთ მიმღებ ქვეყანაში ოჯახის წევრი.

გამოკითხულთა სამ მეოთხედს (40%) გაუჭირდა ეპასუხა კითხვაზე, აქვს თუ არა მისი ოჯახის წევრს *სამართლებრივი პრობლემა* მიმღებ ქვეყანაში. საბერძნეთში წასულების ოჯახის წევრთა 21% პასუხების მიხედვით ასეთი პრობლემები არსებობს, ხოლო თურქეთში წასულების 10% ის პასუხების მიხედვით აქვთ სამართლებრივი პრობლემები.

გამოკითხულთა 14%-ა არ იცის ან უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ *სად არის დასაქმებული* მისი ნათესავი უცხოეთში. უცხოეთში წასულთა ყველაზე მეტი რაოდენობა, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, დაბალკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებს. გამოკითხულთა მხოლოდ 8%-მა აღნიშნა, რომ მისი ნათესავი მაღალკვალიფიციური სამუშაოთია დაკავებული.


გამოკითხულთა მხოლოდ 9,4%-მა გამოთქვა უცხოეთში სამუშაოდ გამგზავრების სურვილი. 1,6%-ს გამგზავრების კონკრეტული გეგმა გააჩნია, ხოლო 87,6% საერთოდ არ გეგმავს ქვეყნიდან წასვლას. გამგზავრების მსურველთაგან უმეტესობას (17,6%), წარმოადგენენ ადამიანები, რომელთაც უკვე ჰყავთ ნათესავები ან ოჯახის წევრები უცხოეთში. ხოლო ვისაც არ ჰყავთ, მათგან მხოლოდ 7,8%-მა გამოთქვა სამუშაოდ უცხოეთში გამგზავრების სურვილი. ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად, რის გამოც გაემგზავრებოდნენ რესპონდენტები უცხოეთში დასახელდა ის, რომ ახლობელი დასაქმებულია ამ ქვეყანაში და ჰპირდება მასაც დასაქმებას (36,5%).

რესპონდენტთა უმეტესობა საკმაოდ *აგნობიერებს იმ საფრთხეებს*, რაც შეიძლება ჰქონდეთ უცხოეთში წასულ სამუშაოს მაძიებლებს. რესპონდენტთა აზრით საქართველოდან, სამუშაოდ წასული ადამიანი დაუცველია სხვადასხვა საფრთხეებისგან, მიუხედავად იმისა ლეგალურად იმყოფება ის საზღვარგარეთ თუ არა ლეგალურად.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები


გამოკითხვის შედეგების მიხედვით 14%-ს ჰყავს ახლო ნათესავი ან ოჯახის წევრი სამუშაოდ უცხოეთში წასული.

დიაგრამა 1. გყავთ თუ არა ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი რომელიც სამუშაოდ არის წასული ქვეყნის გარეთ



ქვეყნებს შორის, სადაც რესპონდენტები წასულები არიან სამუშაოდ, პირველ ადგილზე რუსეთი დასახელდა, ხოლო მეორე და მესამე ადგილი უკავია საბერძნეთსა და თურქეთს. რესპონდენტები, უფრო ხშირად, მიგრაციის სავარაუდო ქვეყანად ასახელებენ იმ ქვეყნებს, სადაც მათი ახლობლები სამუშაოდ არიან წასული.


დიაგრამა 2. სად არიან წასულები სამუშაოდ გამოკითხული ოჯახების ოჯახის წევრები ან ნათესავები



აღსანიშნავია, რომ უმუალოდ ოჯახის წევრები თურქეთში ან საბერძნეთში გამოკითხულთა მხოლოდ 11%-ს ჰყავს, საიდანაც - 4,7% საბერძნეთში, 6,8% - თურქეთში, ხოლო - 0,4% ორივეგან ცხოვრობენ.


დიაგრამაზე #3 გამოსახულია იმ რესპონდენტთა პასუხების განაწილება, რომელთაც რომელიმე ქვეყანაში სამუშაოდ ჰყავთ წასული ოჯახის წევრი/ან ახლო ნათესავი.

დიაგრამა 3. გეგმავს თუ არა რესპონდენტის ოჯახის წევრი უახლოეს მომავალში თურქეთში ან საბერძნეთში გამგზავრებას.



შრომითი მიგრანტების მიმართება რესპონდენტთან, გამოსახულია დიაგრამაზე #4. როგორც ჩანს, უმთავრესად შვილები, ან და/მმა არიან საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულები. სოფელში მცხოვრებ რესპონდენტებში, უფრო მაღალია (56%) შვილების წილი შრომითი მიგრანტების დასახელებულ რაოდენობაში, ვიდრე მუნიციპალურ ცენტრებში - 40%.

დიაგრამა 4. ვინ არის სამუშაოდ წასული უცხოეთში? (მათ შორის ვინცაც ჰყავს უცხოეთში სამუშაოდ წასული ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი)




გამოკითხულთა 75%-ის პასუხების მიხედვით, უახლოეს მომავალში გამოკითხულთა ოჯახის წევრი არ გეგმავს საბერძნეთში ან თურქეთში გამგზავრებას. 3.4%-ის პასუხების მიხედვით ის საბერძნეთში აპირებს გამგზავრებას, ხოლო - 9.4% თურქეთში.

მათ შორის ვინც გეგმავს საბერძნეთში გამგზავრებას, 93,5% ქართველია, 2,2% ბერძენი. მათგან, მოქალაქეობა აბსოლუტურ უმრავლესობას (97.8%) საქართველოსი აქვს. საბერძნეთში პოტენციურად წამსვლელებს შორის - 14 % დევნილია. თურქეთში წამსვლელებს შორის - 99,2% საქართველოს მოქალაქეა, 98% ეროვნებით ქართველი. თურქეთში პოტენციურად წამსვლელებს შორის 12,4% დევნილია.

თურქეთსა და საბერძნეთში წამსვლელების ძირითადი მიზანი რესპონდენტის აზრით არის: **საბერძნეთში წასვლის მიზეზი** - 84% ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, 5,6% - საცხოვრებლად, 8,9% - სხვა მიზეზით.

თურქეთში წასვლის მიზეზი: 93% ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, 0,8% - საცხოვრებლად, 4,8% - სხვა მიზეზით.

დიაგრამა 3. რა მიზეზით გეგმავს თქვენი ოჯახის წევრი გამგზავრებას საბერძნეთში ან თურქეთში?




მათ შორის, ვისი ოჯახის წევრიც გეგმავს საბერძნეთში წასვლას, 60%-მა არ იცის რამდენი ხნით გეგმავს ის საბერძნეთში გამგზავრებას, ხოლო მათ შორის, ვისი ოჯახის წევრიც თურქეთში გამგზავრებას გეგმავს, 36%-მა არ იცის მისი ოჯახის წევრი რამდენი ხნით მიემგზავრება თურქეთში.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, თურქეთში სამუშაოდ წამსვლელებისთვის მეტადაა წინასწარ დაგეგმილი, თუ რამდენი ხნით მიდის მათი ოჯახის წევრი თურქეთში.


დიაგრამიდან # 6 ჩანს, რომ თურქეთში წამსვლელების სამუშაო მეტად არის მოგვარებული წასვლამდე, ვიდრე საბერძნეთში წამსვლელებისა. კერძოდ რესპონდენტების მხოლოდ 11% თვლის, რომ საბერძნეთში გამგზავრების მსურველი მათი ოჯახის წევრები უკვე მოგვარებულ სამუშაო პირობებზე მიდის, ხოლო გამოკითხულთა უფრო მეტი რაოდენობა - 42% ამბობს, რომ თურქეთში წამსვლელი მისი ოჯახის წევრის სამუშაოს საკითხი გადაწყვეტილია.

დიაგრამა 4. საბერძნეთში და თურქეთში წამსვლელების სამუშაოს პერსპექტივა




ანალოგიური განსხვავება დაფიქსირდა ვიზების საკითხშიც იმ რესპონდენტთა პასუხებში, რომელთა ოჯახის წევრები გეგმავენ თურქეთში ან საბერძნეთში გამგზავრებას. მესამედის (33%) პასუხების მიხედვით თურქეთში მათი ოჯახის წევრი სამუშაო ვიზით მიდის. თითქმის ორჯერ ნაკლები (19.6%) გვპასუხობს, რომ საბერძნეთში მათი ოჯახის წევრი მიდის სამუშაო ვიზით. დიაგრამაზე #7 მოცემული პასუხების განაწილება, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ თურქეთში წასვლა უფრო კაგად არის დაგეგმილი წამსვლელების მხრიდან და დეტალებიც გარკვეულია. საბერძნეთში წამსვლელები კი უფრო მეტად არიან დამოკიდებული გარემოებებზე.

დიაგრამა 5. საბერძნეთში და თურქეთში წამსვლელების ვიზირების საკითხი




რაც შეეხება ვადას, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაკლებად გარკვეულები ვადებში, არიან საბერძნეთში წამსვლელთა ოჯახის წევრი რესპონდენტები.

დიაგრამა 6. რა ვადით მიემგზავრება თქვენი ოჯახის წევრი უცხოეთში




ყველაზე მეტი პრობლემა, სამუშაო ვიზის აღებასთან დაკავშირებით ყველაზე მწვავედ საბერძნეთში წამსვლელებისთვის დგას.

დიაგრამა 7. რა არსებითი საკითხები აქვს გადასაჭრელი პოტენციურ მიგრანტს წასვლა რომ შეძლოს?



საქართველოში დასაქმების სტატუსის მიხედვით საბერძნეთში და თურქეთში პოტენციური წამსვლელები არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან.


დიაგრამა 8. დასაქმებულია თუ არა პოტენციური მიგრანტი



საბერძნეთში წამსვლელთა 77% არ არიან საკუთარი სპეციალობით დასაქმებულები, ხოლო თურქეთში წამსვლელების - 85.8%.

გამოკითხულთა სამი მეოთხედის პასუხების მიხედვით, სხვადასხვა ქვეყანაში წამსვლელებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ რა პროფესიით იმუშავენ. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 20 %-ის მოსაზრებით, მათი საბერძნეთში წამსვლელი ოჯახის წევრი პროფესიით იმუშავენ. მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ მიგრანტთა უმრავლესობას, რომელიც მიდის სამუშაოდ სხვა ქვეყანაში, არა აქვს დაგეგმილი თუ რა კონკრეტული სამუშაოს შესრულება მოუწევს იქ.


დიაგრამა 9. რა პროფესიით იმუშავენ საბერძნეთში წამსვლელი რესპონდენტის ოჯახის წევრი.



მათ შორის, ვისი ოჯახის წევრიც აპირებს თურქეთში ან საბერძნეთში გამგზავრებას, მესამედ შემთხვევაში ჰყავთ მიმღებ ქვეყანაში ოჯახის წევრი. საბერძნეთში წამსვლელების 34%-ს, ხოლო თურქეთში წამსვლელების - 31%-ს.


43%-ის პასუხების მიხედვით მათ ოჯახის წევრს, რომელიც საბერძნეთში იმყოფება არა აქვს სამართლებრივი პრობლემები, 21% პასუხების მიხედვით ასეთი პრობლემები არსებობს, ხოლო 36%-ს უჭირს გასცეს კითხვას პასუხი. ანალოგიური პასუხებია იმ რესპონდენტებთან, რომელთაც ოჯახის წევრი თურქეთში ჰყავთ. 44% ამბობს, რომ მას არა აქვს სამართლებრივი პრობლემები, 10% ის პასუხების მიხედვით მათ სამართლებრივი პრობლემები აქვთ, ხოლო 46%-ს უჭირს გასცეს კითხვაზე პასუხი.

დიაგრამა 10. აქვს თუ არა სამართლებრივი პრობლემები



როგორც დიაგრამიდან ჩანს, პასუხების მიხედვით, რომელთაც ოჯახის წევრები ჰყავთ საბერძნეთში ან თურქეთში, მატერიალურად არ ეხმარებიან მათ ოჯახებს.


დიაგრამა 11. ეხმარება თუ არა თურქეთში და საბერძნეთში მცხოვრებნი ოჯახებს მატერიალურად (პასუხები დათვლილია მათ შორის, ვისაც ჰყავს ოჯახის წევრი საბერძნეთში ან თურქეთში)



მათ შორის, ვისაც ეხმარება უცხოეთიდან მიგრანტი, 71% ამბობს, რომ ეს დახმარება ოჯახისთვის შეღავათს არ წარმოადგენს, ხოლო 17%-ის პასუხების მიხედვით, ოჯახის საარსებო ხარჯებს ფარავს.

რესპონდენტთა პასუხების მიხედვით გამოკითხულთა 14%-მა საერთოდ არ იცის ან უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ სად არის დასაქმებული მისი ნათესავი უცხოეთში. უცხოეთში წასულთა ყველაზე მეტი რაოდენობა, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, მიძად, ან მომვლელდ მუშაობს (27%). ჩამონათვალში ყველაზე მეტად დაბალკვალიფიციური სამუშაო დასახელდა. გამოკითხულთა მხოლოდ 8%-მა აღნიშნა, რომ მისი ნათესავი მაღალკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებს. ასეთი პასუხების უმეტესობა ქალაქის მოსახლეობის დასახელებულია.

დიაგრამა 12. რა ტიპის სამსახური აქვს თქვენს ნათესავს უცხოეთში?




გამოკითხულთა მხოლოდ 9,4%-მა გამოთქვა უცხოეთში სამუშაოდ გამგზავრების სურვილი. 1,6%-ს გამგზავრების კონკრეტული გეგმა გააჩნია, ხოლო 87,6% საერთოდ არ გეგმავს ქვეყნიდან წასვლას.

საგულისხმოა, რომ უცხოეთში სამუშაოდ გამგზავრების სურვილი უმეტესად იმ ადამიანებმა გამოთქვეს (17,6%), რომელთაც ჰყავთ უკვე ნათესავები ან ოჯახის წევრები უცხოეთში, ხოლო ვისაც არ ჰყავთ, მათგან მხოლოდ 7,8%-მა გამოთქვა გამგზავრების სურვილი სამუშაოდ უცხოეთში. სქესის მიხედვით მცირე განსხვავება დაფიქსირდა, ქალების უფო ნაკლები რაოდენობას აქვს დაგეგმილი უცხოეთში სამუშაოდ წასვლა, ვიდრე კაცების.

სქესის მიხედვით ქვეყნების არჩევისას არსებობს განსხვავებები, კერძოდ: თურქეთში ქალების 25,9%-ს აქვს სურვილი წავიდეს სამუშაოდ, ხოლო მამაკაცების მხოლოდ 1,9%. რუსეთსა და უკრაინაში მამაკაცები უფრო არიან მზად წასასვლელად სამუშაოდ, ვიდრე ქალები.


დიაგრამა 13. რომელ ქვეყანაში ისურვებდნენ თავად რესპონდენტები წასვლას ჭრილი სქესის მიხედვით



ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად, რის გამოც გაემგზავრებოდნენ რესპონდენტები უცხოეთში დასახელდა ის, რომ ახლობელი დასაქმებულია ამ ქვეყანაში და ჰპირდება მასაც დასაქმებას (37%).


აღსანიშნავია, რომ იმ გამოკითხული მამაკაცების 20%, აღნიშნავს, რომ ოჯახის წევრი რომელიც წასულია სამუშაოდ სხვა ქვეყანაში მისი მეუღლეა. ქალების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი - 13,5%-ს არ აღემატება. ეს მონაცემი გვამღევეს საშუალებას ვივარაუდოდ, რომ ეკონომიკური აქტივობის ასაკის მქონე ოჯახებიდან მეუღლეებს შორის ქალაქები უფრო ბევრია შრომითი მიგრანტი, ვიდრე მამაკაცი.

დიაგრამა 14 რომელი მიზეზია ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნიდან გასამგზავრებლად?




როგორც შედეგმა აჩვენა, ქალებისა და მამაკაცების ქვეყნიდან გამგზავრების მოტივაცია, განსხვავდება ერთმანეთისგან. მამაკაცები მეტი წილი თვლის, რომ მიმღებ ქვეყანაში უფრო გაუადვილდება სამსახურის მოძებნა, ვიდრე აქ.

დიაგრამა 15. რომელი მიზეზია ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნიდან გასამგზავრებლად?



როგორც დიაგრამაზე #18 ჩანს, ყველაზე მეტად ინფორმაციას მოსახლეობა იმ ნაცნობებისგან იღებს, რომლებიც უკვე ცხოვრობენ სხვა ქვეყანაში და მუშაობენ იქ. ამ შემთხვევაში ინფორმაციის ძირითად წყაროს ნაცნობები წარმოადგენენ და არა საინფორმაციო სამუშაოები.


დიაგრამა 168. საიდან მივიღიათ ინფორმაცია სამუშაოდ სხვა ქვეყანაში წასვლის შესაძლებლობებზე



გამოკითხულთა 85%-ს არც ერთხელ არ უცდია საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა. 10%-ს უცდია, თუმცა ვერ წავიდა, ხოლო 5%-ს ყოფილა კიდევ სამუშაოდ სხვა ქვეყანაში.


რესპონდენტთა უმეტესობა საკმაოდ აცნობიერებს იმ საფრთხეებს, რაც შეიძლება ჰქონდეთ უცხოეთში წასულ სამუშაოს მაძიებლებს. როგორც დიაგრამიდან ჩანს ტრეფიკინგის შესახებ საფრთხის თაობაზე მოსახლეობა სენსიტიურია.

დიაგრამა 19. სამუშაოს სამიხილად უცხოეთში წამსვლელები/წასულების პრობლემები რესპონდენტთა შეფასება



რესპონდენტთა აზრით საქართველოდან, სამუშაოდ წასული ადამიანი დაუცველია სხვადასხვა საფრთხეებისგან, მიუხედავად იმისა ლეგალურად იმყოფება ის საზღვარგარეთ თუ არა ლეგალურად.

დიაგრამა 20. თქვენი აზრით რამდენად დაცულია საქართველოდან სამუშაოდ წასული ადამიანი ტრეფიკინგის საფრთხისგან



გამოკითხულთა 50,6% არა აქვს პროფესია, მათ შორის ვისაც აქვს პროფესია, ყველაზე მეტი პედაგოგი - 16,9%, ეკონომისტი - 11,6% და ინჟინერია - 10,2%.

პროფესია	%
პედაგოგი	16.9
ეკონომისტი	11.6
ინჟინერი	10.2
ბუღალტერი	6.2
იურისტი/სამართალმცოდნე	5.5
ექთანი/მედდა	5.0
ფილოლოგი	5.0
ექიმი	4.4
აგრონომი	2.6
ტექნოლოგი	2.5
მძღოლი	2.2
ისტორიკოსი	2.2
ფარმაცევტი	1.6
მათემატიკოსი	1.3
მუსიკოსი	1.3
სოფლის მეურნეობის სპეციალისტი/ფერმერი	1.2
მკერავი	1.0
ვეტერინარი	1.0
ბიოლოგი	1.0
მუშა	1.0
პროგრამისტი	0.8
მენეჯერი	0.7
მხატვარი	0.7
კონდიტერი/მცხობელი/კულინარი	0.7
ხელოსანი	0.6
ქიმიკოსი	0.6
ბიბლიოთეკარი	0.6
შემდუღებელი	0.6
ფიზიკოსი	0.4
მსახიობი	0.4
ჟურნალისტი	0.4
ელექტრიკოსი	0.4
მექანიკოსი	0.4
თარჯიმანი	0.4
მემანქანე	0.4
სპორცმენი	0.4
მექანიზაცია	0.4
ტრაქტორისტი	0.3

მშენებელი	0.3
ლაბორანტი	0.3
გეოგრაფი	0.3
ზეინკალი	0.3
არქიტექტორი	0.2
ადმინისტრატორი/მაღალი რგოლის მენეჯერი	0.2
მეზაჟე	0.2
მოლარე	0.2
ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი	0.2
საბანკო საქმე	0.2
ტექნიკოსი	0.2
დეკორატორი	0.2
მემონტაჟე	0.2
ბიზნესის მართვა	0.2
დიზაინერი	0.2
კოსმეტოლოგი/სტილისტი/ვიზაჟისტი	0.2
მეზღვაური	0.1
დისპეჩერი	0.1
მეწარმე	0.1
რეჟისორი/კინომცოდნე	0.1
დურგალი	0.1
მზარეული	0.1
ტრენერი	0.1
ფოსტალიონი	0.1
სტატისტიკოსი	0.1
მდივანმემანქანე	0.1
ტურიზმი	0.1
მოტორისტი	0.1
პროვიზორი	0.1
სანტექნიკოსი	0.1
ავიამეტეოროლოგი	0.1
საწყობის სპეციალისტი	0.1
ბარმენი	0.1
მეხანძრე	0.1
ფერშალი	0.1
სპეციალისტი	0.1
ვაჭარი	0.1
ტენიკოსი	0.1
ჯარისკაცი	0.1
რეგისტრატორი	0.1
არქივარიუსი	0.1
თანამემწე	0.1
მფრინავი	0.1


მარკეტოლოგი	0.1
ტექნიკური	0.1
არქეოლოგი	0.1
ხელოვნებათმცოდნე	0.1

მათ შორის ვისაც აქვს პროფესია, 19%-ს არა აქვს სამუშაო გამოცდილება. ხოლო ვისაც აქვს გამოცდილება, მათი მაუშაო გამოცდილების საშუალო წლები 15-ის ტოლია, მინიმუმი 1 წელს, ხოლო მაქსიმუმი 30 წელს უდრის.

საინტერესოა ის რომ იმ რესპონდენტების, ვისი ოჯახის წევრიც გეგმავს წავიდეს სამუშაოდ უცხოეთში, 53%-ს სამუშაო გამოცდილება არ გააჩნია.

გამოკითხულთა 69% არ გეგმავს მცირე ბიზნესის გაფართოებას, ან გახსნას. 18% გეგმავს, ხოლო 13%-ს ამ ეტაპზე არა აქვს პასუხი ამ კითხვაზე.

დიაგრამა 171. გეგმავს თუ არა ოჯახი მცირე ბიზნესის გაფართოებას ან დაწყებას



მათ შორის ვინც გეგმავს ბიზნესის დაწყებას ან გაფართოებას, 39% სოფლის მეურნეობის სფეროში აპირებს ამას, 27% - კომერციაში/ვაჭრობაში, ხოლო 8,7% - კვების პროდუქტების წარმოებაში.

მათ შორის, ვინც გეგმავს ბიზნესის წამოწყებას, 80%-ს ფინანსების ნაკლებობა აწუხებს, 6,3% პროფესიული გადამზადების საჭიროება აქვს, ხოლო 11% არავითარი პრობლემა ამ მიმართულებით არ აქვს.